ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 216

« 27 » ივნისი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №81-89-ის მიმდებარედ 535 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.023.028) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ასორტი - ვერე"-სთვის (ს/კ: 404880474) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, `ქ.თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩის მიმდებარედ №81-89-ის მიმდებარედ 535 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.023.028) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ასორტი -ვერესთვის" (ს/კ: 404880474) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 24 მაისის №18.11.353 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ი. აბაშიძის ქუჩა №81-89-ის მიმდებარედ 535 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.023.028) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ასორტი - ვერე"-სთვის (ს/კ: 404880474) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 700 (ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი